



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49211488

თარიღი:28/05/2021

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 30

ქალაქ წყალტუბოში, ფარნავაზ მეფის ქუჩის №7^ბ კერძო სახლზე ნოდარ ნოეს ძე კოხრეიძის

მემორიალური დაფის განთავსების შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ განიხილა მოქალაქე ზაზა კოხრეიძის განცხადება, რომელიც შეეხებოდა საქართველოს დამსახურებული მუშაკის, საფეხბურთო კლუბ „სამგურალის“ ყოფილი მეკარისა და მწვრთნელის, ფეხბურთელთა არაერთი თაობის აღმზრდელის - ნოდარ ნოეს ძე კოხრეიძის მემორიალი დაფის განთავსების საკითხს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის `ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის~ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 24-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის შესაბამისად:

1. ქალაქ წყალტუბოში, ფარნავაზ მეფის ქუჩის №7^ბ კერძო სახლზე განთავსდეს ნოდარ ნოეს ძე კოხრეიძის მემორიალური დაფა.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

